დანართი №4

საკომპენსაციო ღონისძიებები

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული კვლევებით არ დადასტურდა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით საპროექტო ტერიტორიის უნიკალურობა და შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი არ არის ბიომრავალფეროვნების რომელიმე ობიექტზე შეუქცევადი ზემოქმედება, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებულია რამდენიმე კომპონენტიანი საკომპენსაციო ღონისძიება. საკომპენსაციო ღონისძიებები პირველ რიგში მიზნად ისახავს საქართველოს წითელი ნუსხით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული მცენარეების და ცხოველების დაცვას და მათი საარსებო გარემოს მაქსიმალურად შენარჩუნებას.

კომპონენტი 1: კომპენსაცია პორტის მშენებლობის პროცესში ცხოველთა სახეობების საბინადრო ადგილების მოშლისთვის:

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული რამდენიმე ეტაპიანი კვლევის შედეგად არ დაფიქსირებულა განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული ცხოველთა სახეობების მნიშვნელოვანი საბინადრო ადგილები. აღსანიშნავია სხვადასხვა სახეობის ღამურების (მათ შორის ბერნის კონვენციით დაცული სახეობები) საბინადრო ადგილები. მათ შორის ტერიტორიაზე დაფიქსირებული იქნა რამდენიმე ფუღურროიანი ხე, რომლებსაც შეიძლება იყენებდნენ ღამურები თავშესაფრად. აქედან გამომდინარე, მოქმედი მეთოდიკების შესაბამისად, ღამურებისთვის დამონტაჟდება საბინადრო ხის სახლები, ე.წ. „ბეთ ბოქსები“, ზეწოლის ტერიტორიის გარეთ (მინიმუმ 1 კმ რადიუსში). მოეწყობა 30 ერთეული ხის სახლი.

კომპონენტი 2: კოლხეთის ეროვნულ პარკში გარემოსდაცვითი პროექტის მხარდაჭერა

ა) კოლხეთის ეროვნული პარკის პერიფერიული ნაწილის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაწმენდა და შემდგომ რამოდენიმეწლიანი კონტროლი;
ბ) ტურისტული მიზნით დაცული ტერიტორიების გარეთ ფრინველთათვის საბუდარების (ან რაიმე მსგავსი) მოწყობა, ასევე ფრინველებზე დასაკვირვებლად სპეციალური ქოხების მოწყობა.

Classification: Internal